# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 115

„18" მარტი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, №5ა; №3ა №3; №5; №7; №9; №9ა; №11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.207; №01.72.14.014.649; №01.72.14.014.638; №01.72.14.014.879; №01.72.14.014.250; №01.72.14.014.631; №01.72.14.014.735; №01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 16 თებერვლის №22.179.209 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას,,,ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, №5ა; №3ა №3; №5; №7; №9; №9ა; №11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.014.207; №01.72.14.014.649; №01.72.14.014.638; №01.72.14.014.879; №01.72.14.014.250; №01.72.14.014.631; №01.72.14.014.735; №01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №0121361993-67 (№01220402977-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 22.179.209**
**16 / თებერვალი / 2022 წ.**

**ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 27 დეკემბრის N0121361993-67 (N01220402977-67) განცხადებით მიმართა კახა ღიბრაძემ (პ/ნ 01002016416) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე. საპროექტო ტერიტორიის ფართობი - 8048 კვ.მ (აქედან დაურეგისტრირებელი 1167 კვ.მ).

„ქალაქი თბილისში, კათალიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა N3, N3ა, N5ა, N5, N7, N9, N9ა, N11; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.; ქალაქი თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-13 კმ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.649; N01.72.14.014.968; N01.72.14.014.207; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.831; N01.72.14.014.857) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N76 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

საპროექტო წინადადებით იგეგმება ტერიტორიის მიწის 3 სექტორად დაყოფა, აქედან 1 სამშენებლო ნაკვეთად გაერთიანება, სადაც განთავსდება სავარაუდოდ 19 სართულიანი და 23 სართულიანი მრავალფუნქციური შენობა, რომლის 90% დაეთმობა საცხოვრებელ ფუნქციას, ხოლო დანარჩენი 10% საოფისე/კომერციულს. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) რჩება უცვლელად, ხოლო 2 სექტორი დაეთმობა გზების მოწყობას და განესაზღვრება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ნაკვეთების ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო ტერიტორიის ჯამური ფართობი: 8048 კვ.მ

არსებული ფუნქციური ზონირება - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) ;

დაურეგისტრირებელ ფართზე, მოხდა ფართის კონფიგურაციის ცვლილება და დაგეგმვა საგზაო ინფრასტრუქტურისათვის. ტერიტორიაზე განთავსდება 2 მრავალფუნქციური შენობა, მაქსიმალური სართულიანობა - 23; 19 სართული.

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ნაკვეთი N1

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) = 6881 კვ.მ

კ1-0,5 ------3440,0კვ.მ

კ2-4,6 -----31950,0კვ.მ

კ3-0,3 -----2067,0კვ.მ

ნაკვეთი N2

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- 1076 კვ.მ

კ1- კ2- კ3-0,1

ნაკვეთი N3

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- 91 კვ.მ

კ1- კ2- კ3-0,1

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების $16^1$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში. აღნიშნულ შემთხვევაში, გადმოსაცემი ფართი შეადგენს -192,2 კვ.მ-ს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და $5^1$ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის N01213152199 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 10 თებერვლის N01220412572 წერილის შესაბამისად, სამსახური თანახმაა NN01.72.14.014.968, 01.72.14.014.649, 01.72.14.014.207, 01.72.14.014.638, 01.72.14.014.879, 01.72.14.014.250, 01.72.14.014.631 და 01.72.14.014.735 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 14 თებერვლის N0122045628 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

შესაბამისად, ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N0121361993-67 (N01220402977-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N5ა; N3ა N3; N5; N7; N9; N9ა; N11; არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.207; N01.72.14.014.649; N01.72.14.014.638; N01.72.14.014.879; N01.72.14.014.250; N01.72.14.014.631; N01.72.14.014.735; N01.72.14.014.968) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3.მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიცილიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. „თეთრ კარკასულ" მდგომარეობაში.

4. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით) ,არანაკლებ 50 კვ.მ-სა.

5.დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ამ განკარგულების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ქონების გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მაძიებელთან მშენებლობის ნებართვის მიღებამდე.

6.დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მშენებლობის ნებართვის მაძიებელს მოსთხოვოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსთან ამ განკარგულების მე-5 პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების წარმოდგენა.

7. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

8.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
# გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01220412572**
თარიღი: **10/02/2022**
პინი: **8095**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა 2022 წლის 9 თებერვლის №01220402977-67 განცხადება რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, კათოლიკოს აბრაჰამ I-ის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.968, 01.72.14.014.649, 01.72.14.014.207, 01.72.14.014.638, 01.72.14.014.879, 01.72.14.014.250, 01.72.14.014.631, 01.72.14.014.735, ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **154 ძირი** (**ს/კ 01.72.14.014.207:** №1-№14, №19-№43; **ს/კ 01.72.14.014.250:** №10-№22, №24-№26, №28, №30-№37, №39; **ს/კ 01.72.14.014.631:** №3-№7, №9; **ს/კ 01.72.14.014.638:** №4, №6, №11, №13-№16; **ს/კ 01.72.14.014.649:** №1 - №7; **ს/კ 01.72.14.014.735:** №3-№6, №12-№14, №16-№22, №28-№32; **ს/კ 01.72.14.014.879:** №3-№4, №6, №11-№19; **ს/კ 01.72.14.014.968:** №3-№36, №52-№55) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. **გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე მოსაჭრელი ნარგავების რაოდენობა არც ერთ საკადასტრო ერთეულზე არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.**

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **36 ძირი** მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა და $21^2$ მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული **36 ძირი** (**ს/კ 01.72.14.014.207:** №16; **ს/კ 01.72.14.014.250**: №1-№9, №23, №27, №29, №38; **ს/კ 01.72.14.014.631:** №1-№2, №8; **ს/კ 01.72.14.014.638:** №3, №5; **ს/კ 01.72.14.014.735:** №1-№2, №7-№11, №15, №23, №25-№27; **ს/კ 01.72.14.014.879:** №5, №7-№10) მწვანე ნარგავი, მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **1 ძირი (ს/კ 01.72.14.014.638:** №12 კაკალი, D=50 სმ) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა და $21^1$ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული/გადასარგავი:** 5 ძირი თუთა, 1 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 20 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი, 12 ძირი კაკალი, 2 ძირი თხილი და **საპროექტოდ დასარგავი:** 29 ძირი ჩვეულებრივი იფანი, 26 ძირი იტალიური ფიჭვი, 24 ძირი ქორაფი ნეკერჩხალი, 30 ძირი ესპანური სოჭი; **ჯამში - 149 ერთეული**) სრულად ითვისებს შემოთავაზებული კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**სსზ-2 = 0.3 = 2 064 მ$^2$; ტზ-1 = 0.1 = 117 მ$^2$; სულ - 2 181 მ$^2$**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

**ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა 01.72.14.014.968, 01.72.14.014.649, 01.72.14.014.207, 01.72.14.014.638, 01.72.14.014.879, 01.72.14.014.250, 01.72.14.014.631 და 01.72.14.014.735 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0122045628**
თარიღი: **14/02/2022**
პინი: **1372**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2022 წლის 9 თებერვლის N 01220402977-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.014.649 01.72.14.014.207 01.72.14.014.638 01.72.14.014.879 01.72.14.014.250 01.72.14.014.631 01.72.14.014.735 01.72.14.014.968) განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი




პირობითი აღნიშვნები:

- - - - - საპროექტო არეალი

═══ გზათა ქსელი

· · — · საპროექტო საკადასტრო საზღვრები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაკვეთა:<br>მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი:<br>მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა | | | არქიტექტორი<br>მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი:<br>კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № :<br>17 | თარიღი :<br>7.15.2021 | |

ფორმატი A3




ნაკვეთ N-1 ში

ა) გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები: მრავალფუნქციური შენობა (დომინირებულად გამოყოფილია საზოგადოებრივი ფუნქციური სახეობები);

- პარკი; ბაღი; სკვერი; ბულვარი;
- აფთიაქი;
- კლუბი;
- კინოთეატრი;
- უნივერსალური სპორტულ-სამაყურებლო დარბაზი;
- მუზეუმი;
- საგამოფენო დარბაზი;
- უნივერსალური მაღაზია;
- სავაჭრო ცენტრი;
- ბარი;
- კაფე;
- რესტორანი;
- სწრაფი კვების ობიექტი;
- საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, გარდა სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტისა;
- საფოსტო და კავშირგაბმულობის ობიექტი;
- ბანკის ფილიალი, განყოფილება;
- ბანკი;
- მართვის დაწესებულება და ორგანიზაცია;
- ოფისი;

ბ) ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას:

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;

კაზინო და სხვა აზარტული თამაშების ობიექტი;

ჯიხური ან/და დროებითი პავილიონი (საცალო ვაჭრობისა და მომსახურეობისათვის);

კომუნალური და საინჟინრო ტექნიკური ობიექტი;

პირობითი აღნიშვნები:

| | |
|---|---|
| საპროექტო არეალი | სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1) |
| გზათა ქსელი | საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) |
| საპროექტო საკადასტრო საზღვრები | |

| დაკვეთა: | ნახაზი: | | არქიტექტორი |
|---|---|---|---|
| მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | საპროექტო ფუნქციური ზონირების და გამოყენების სახეობების გეგმა | | მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № : 18 | თარიღი : 7.15.2021 |

ფორმატი A3




**ნაკვეთი № 1 - 6881 კვ.მ**

ფუნქციური ზონირება - სსზ-2
არსებული და დადგენილი პარამეტრები.

კ1 = 0.5 = 3 440 კვ.მ (მაქსიმალური)
კ2 = 4.6 = 31 950 კვ.მ (მაქსიმალური)
კ-3 = 0.3 = 2 065 კვ.მ (მინიმალური)

**ნაკვეთი № 2 ; 3 - 1075 კვ.მ;91 კვ.მ**

ფუნქციური ზონირება - ტზ-1
კ3 = 0.1 =117 კვ.მ (მინიმალური)

პირობითი აღნიშვნები:

| | |
|---|---|
| - - - - საპროექტო არეალი | სატრანსპორტო ზონა 1(ტზ-1) |
| ═══ გზათა ქსელი | საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) |
| —— საპროექტო საკადასტრო საზღვრები | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: მიწის ნაკვეთზე კ1; კ2; კ3 ის დადგენის გეგმა გეგმა | | | არქიტექტორი: მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი №: 19 | თარიღი: 7.15.2021 | |

ფორმატი A3




ნაკვეთი № 1 - 6881 კვ.მ

1.საზოგადოებრივი საზღვრები უდგინდება დასავლეთით ნაკვეთი № 2 და აღმოსავლეთით ნაკვეთი № 3 დან.

2.მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა ხდება სსზ-2 ში უფრო განიერი საზოგადოებრივი სივრციდან ნაკვეთი № 2 დან.

3.ვინაიდან ტერიტორიას ორი მხრიდან უდგინდება საზოგადოებრივი სივრცე , ნაკვეთ №1 ს არ დაუდგინდება უკანა ეზო.

3.ნაკვეთზე განთავსდება ორი შენობა, ერთიანი ან ცალცალკე პარკირების სართულით და ჩასასვლელებით.

4.საკადასტრო საზღვრებიდან ფანჯრების განთავსების მიზნით დაცულია მინიმუმ 10 მ მანძილი.

5. სივრცით გეგმარებითი სახეობა ნაწილობრივ ღია.

ნაკვეთი № 1 - 6881 კვ.მ

ფუნქციური ზონირება - სსზ-2
არსებული და დადგენილი პარამეტრები.

კ1 = 0.5 = 3 440 კვ.მ (მაქსიმალური)
კ2 = 4.6 = 31 950 კვ.მ (მაქსიმალური)
კ-3 = 0.3 = 2 065 კვ.მ (მინიმალური)

ნაკვეთი № 2 ; 3 - 1076 კვ.მ;91 კვ.მ

ფუნქციური ზონირება - ტზ-1
კ3 = 0.1 =117 კვ.მ (მინიმალური)

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო არეალი
- გზათა ქსელი
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- რეგულირების წითელი ხაზი 6 მ.
- წარმოსახვითი მიჯნა
- შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი კონტური
- ტროტუარი,ველობილიკი (საჯარო სერვიტუტი) საპროექტო არეალში

| დაკვეთა: | ნახაზი: | | | არქიტექტორი |
|---|---|---|---|---|
| მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა | | | მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № : 20 | თარიღი : 7.15.2021 | ფორმატი A3 |

ნაკვეთი № 1 - 6881 კვ.მ

"ა" ბლოკი 19 სართული.
"ბ ბლოკი 23 სართული

## ჭრილი 1-1




## ჭრილი 2-2







პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო არეალი
- გზათა ქსელი
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- რეგულირების წითელი ხაზი 6 მ.
- შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი კონტური
- ტროტუარი,ველობილიკი (საჯარო სივრცეები) საპროექტო არეალში

| | | | |
|---|---|---|---|
| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: სიმაღლის განსაზღვრის გეგმა | | არქიტექტორი: მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | მასშტაბი: | ფურცელი №: 21 | თარიღი: 7.15.2021 |

ფორმატი A3




ნაკვეთი № 1 - 6881 კვ.მ

ფუნქციური ზონირება - სსზ-2
არსებული და დადგენილი პარამეტრები.

კ1 = 0.5 = 3 440 კვ.მ (მაქსიმალური)
კ2 = 4.6 = 31 950 კვ.მ (მაქსიმალური)
კ-3 = 0.3 = 2 065 კვ.მ (მინიმალური)

საცხოვრებელი ფუნქცია 90 % = 28 755 კვ.მ
კომერციული 10 % = 3195 კვ.მ.

ტერიტორიაზე ვრცელდება შუალედური ზონა (შზ)
ავტომანქანების მინიმალური რაოდენობა ტოლია
საცხოვრებლის 150 კვ.მ ზე 1 ავტოსადგომი.

საცხოვრებელი 28755 კვ.მ / 150კვ.მ = 192 ავტოსადგომი.

მიწისქვეშა ავტოსადგომების რაოდენობა - 157
მიწისზედა ავტოსადგომების რაოდენობა - 35

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო არეალი
- გზათა ქსელი
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- რეგულირების წითელი ხაზი 6 მ.
- ნარმოსახვითი მიჯნა
- შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი კონტური
- ტროტუარი,ველობილიკი (საჯარო სერვიტუტი) საპროექტო არეალში

| დაკვეთა: | ნახაზი: | | | არქიტექტორი |
|---|---|---|---|---|
| მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ავტომანქანის სადგომი ადგილების და რაოდენობის დადგენის გეგმა. | | | მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № : 22 | თარიღი : 7.15.2021 | |

ფორმატი A3




- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

მრავალფუნქციური კომპლექსი:
მრავალბინიანი 90 %
მრავალფუნქციური 10 %

შენიშვნა: საზოგადოებრივი ფუნქცია 10% -ის ათვისება პროექტირების ეტაპზე შესაძლოა მიენიჭოს 1 შენობას ან გადანაწილდეს ორივეზე;
გადაწყდება პროექტის შეთანხმების სტადიაზე;




მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაკვეთის ნომერი | № 1 |
| 2 | ნაკვეთის ფართობი | 6881 კვ.მ |
| 3 | მიწის ნაკვეთის დაგეგმილი მიზნობრიობა | არასასოფლო სამეურნეო |
| 4 | მიწის ნაკვეთის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა ან ქვეზონა ; | შუალედური ზონა (შზ) |
| 5 | მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონა: | საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) |
| 6 | მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი (სამშენებლო, სამშენებლოდ შეზღუდული, არასამშენებლო) | სამშენებლო (სსზ-2)<br>სამშენებლოდ შეზღუდული-საფეხმავლო სერვიტუტი.<br>გაზის და დენი მილის შეზღუდვა |
| 7 | მიწის ნაკვეთის გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები ; | მრავალფუნქციური შენობა<br>საცხოვრებელი 90%<br>კომერციული სასტუმრო, საოფისე...- 10% |

| | | |
|---|---|---|
| 8 | მიწის ნაკვეთის კ-1 კოეფიციენტი; | სსზ-2 კ-1 = 0.5 |
| 9 | მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტი ; | სსზ-2 კ-2 = 4.6 |
| 10 | მიწის ნაკვეთის კ-3 კოეფიციენტი ; | სსზ-2 კ-3 = 0.3 |
| 11 | მიწის ნაკვეთზე შენობა ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/ და სართულიანობა. | მაქსიმუმ 19-23 მიწისზედა სართული .<br>მიწისქვეშა სავარაუდოდ 2-3 სართული ავტოსადგომების დეტალური გეგმარებიდან გამომდინარე. |
| 12 | მიწის ნაკვეთის სსზ-2 ით დასაშვები ზომები | ზონაში მინიმალური ფართობი 700 კვ.მ<br>ზონაში მინიმალური სიგანე 20 მეტრი<br>ზონაში მინიმალური სიღრმე 30 მეტრი |
| 13 | მიწის ნაკვეთის დაყოფა გაერთიანების რეჟიმები:აკრძალვა,დაშვება ან/და შესაბამისი პირობა; | აკრძალულია |
| 14 | მიწის ნაკვეთის ავტოსადგომების აუცილებელი /მინიმალური რაოდენობა (C.Z.L.FZ.7): | 14-39 დადგენილების შესაბამისად 150 კვ.მ ზე 1 ავტოსადგომი.<br>სავარაუდოდ 192 ავტოსადგომი |
| 15 | მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების წესი (C.Z.L.FZ.6); | წყობის სახეობა - ნახევრად ღია<br>რეგულირების ხაზი - წითელი ხაზი<br>ძირითადი შენობების რაოდენობა - 2 |

ეტაპები და რიგითობა:
I ეტაპზე მოხდება ნაკვეთი № 1 ის განვითარება , ორივე შენობის/ბლოკის მშენებლობა დაიწყება ერთდროულად.

II ეტაპი საგზაო ინფრასტრუქტურა რომელიც წარმოადგენს ამ ეტაპზე გზას, მისი მოწყობა მოხდება თვითმმართველის მიერ .

შენიშვნა:
დამატებით შესაძლებელია მოეწყოს კომპლექსის უზრუნველსაყოფი I კლასის შენობა ნაგებობები. საინჟინრო კომუნიკაციები.

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო არეალი
- გზათა ქსელი
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- რეგულირების წითელი ხაზი 6 მ.
- წარმოსახვითი მიჯნა
- შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების განთავსების პირობითი არეალი
- გაზის მილი 4 მეტრიანი შეზრუდვა (იხ. წერილი)
- დენის ხაზის 1 მეტრიანი შეზრუდვა (იხ. წერილი)
- შენობის განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი კონტური
- ტროტუარი,ველობილიკი (საჯარო სერვიტუტი).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დამკვეთი: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: ნაკვეთი №1 დეტალური რეგლამენტი | | | არქიტექტორი |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № : 23 | თარიღი : 7.15.2021 | მ.ეფრემიძე |

ფორმატი A3







## მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტის დოკუმენტი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაკვეთის ნომერი | № 2;3 |
| 2 | ნაკვეთის ფართობი | 1076 კვ.მ; 91 კვ.მ |
| 3 | მიწის ნაკვეთის დაგეგმილი მიზნობრიობა | არასასოფლო სამეურნეო |
| 4 | მიწის ნაკვეთის ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა ან ქვეზონა ; | შუალედური ზონა (შზ) |
| 5 | მიწის ნაკვეთის კონკრეტული ფუნქციური ზონა: | სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) |
| 6 | მიწის ნაკვეთის სამშენებლო გამოყენების სტატუსი (სამშენებლო, სამშენებლოდ შეზღუდული, არასამშენებლო) | სამშენებლოდ შეზღუდული- |
| 7 | მიწის ნაკვეთის გამოყენების სახეობა და მასში შემავალი ფუნქციები ; | საგზაო ინფრასტრუქტურა. |
| 8 | მიწის ნაკვეთის კ-1 კოეფიციენტი; | ტზ-1 კ-1 = - |
| 9 | მიწის ნაკვეთის კ-2 კოეფიციენტი ; | ტზ-1 კ-2 = - |
| 10 | მიწის ნაკვეთის კ-3 კოეფიციენტი ; | ტზ-1 კ-3 = 0.1* |
| 11 | მიწის ნაკვეთზე შენობა ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე ან/ და სართულიანობა. | |
| 12 | მიწის ნაკვეთის სსზ-2 ით დასაშვები | |
| 13 | მიწის ნაკვეთის დაყოფა გაერთიანების რეჟიმები:აკრძალვა,დაშვება ან/და შესაბამისი პირობა; | |
| 14 | მიწის ნაკვეთის ავტოსადგომების აუცილებელი /მინიმალური რაოდენობა (C.Z.L.FZ.7): | |
| 15 | მიწის ნაკვეთზე შენობების განთავსების წესი (C.Z.L.FZ.6); | |

შენიშვნა:
საჭიროებისამებრ შესაძლოა მოეწყოს , კომპლექსის და ქალაქისთვის საჭირო საინჟინრო კომუნიკაციები.

პირობითი აღნიშვნები:

- საპროექტო არეალი
- გზათა ქსელი
- საპროექტო საკადასტრო საზღვრები
- რეგულირების წითელი ხაზი 6 მ.
- წარმოსახვითი მიჯნა
- შენობის მიწისქვეშა ავტოსადგომების განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი არეალი
- შენობის განთავსების პირობითი კონტური
- ტროტუარი,ველობილიკი (საჯარო სერვიტუტი).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: ნაკვეთი №2 დეტალური რეგლამენტი | | | არქიტექტორი: მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | 1:1000 | ფურცელი № : 24 | თარიღი : 7.15.2021 | ფორმატი A3 |



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: საპროექტო ვიზუალიზაცია | | | არქიტექტორი<br>მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | მასშტაბი: 1:500 | ფურცელი №: 29 | თარიღი: 7.15.2021 | |

ფორმატი A3



| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: საპროექტო ვიზუალიზაცია | | | არქიტექტორი: მ.ეფრემიძე |
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | მასშტაბი: 1:500 | ფურცელი №: 30 | თარიღი: 7.15.2021 | |

ფორმატი A3



| დაკვეთა: მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი | ნახაზი: საპროექტო ვიზუალიზაცია | | | არქიტექტორი: მ.ეფრემიძე | ფორმატი A3 |
|---|---|---|---|---|---|
| დამკვეთი: კახა ღიბრაძე | მასშტაბი: 1:500 | ფურცელი №: 31 | თარიღი: 7.15.2021 | | |